სსიპ „ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის

პროფესიული სახელმწიფო თეატრის სანკვანძების სარემონტო

სამუშაოების შესყიდვა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

CPV-45442180

სატენდერო დოკუმენტაცია

ქ. ქუთაისი

2016 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება.

3. აუცილებელი მოთხოვნები პრეტენდენტთა მიმართ.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

5. ხელშეკრულების უზრუვნელყოფის საბანკო გარანტია.

6. ანგარიშსწორების პირობები.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

8. სამუშაოების დასრულების ვადა

9. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები.

10. სხვა პირობები

11. პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის იმ ნაწილში სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

12. ხელშეკრულების პროექტი.

13. დანართი №1 - რეკვიზიტები.

14. დანართი №2 - ხარჯთაღრიცხვა.

15. დანართი №3 - გამოცდილება.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია
წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა)
ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია
სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.6 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ქუთაისი, წმინდა ნინოს #17. საკონტაქტო პირი:

გიორგი ჭუმბურიძე - 579 45 46 47;

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

2.1.1 შესყიდვის ობიექტია ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართებში მოცემული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.
2.1.2 სამუშაოების სრული ჩამონათვალი და მოცულობა იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ის სახით, რომელიც ცალკე ფაილებად ატვირთულია ელეტქრონულ სისტემაში.
2.1.3 სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშენებლობის უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა სრული გათვალისწინებით.

2.2 სამუშაო ადგილის მომზადება და ნარჩენებისაგან გასუფთავება:
2.2.1 შემსრულებელი პასუხისმგებელია სამუშაოსათვის გამოყოფილი ადგილის გამოყენებაზე და სამუშაოების დასრულების შემდეგ გარემოს საჭირო და სათანადო აღდგენაზე;
2.2.2 მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაოებით გამოწვეული ხმაურის და მტვრის გავლენა.
2.2.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ შემსრულებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ნარჩენებისაგან და ა.შ.

2.3 შესრულებული სამუშაოების გარანტია:
2.3.1 შესრულებულ სამუშაოზე გავრცელდება საგარანტიო ვადები სამუშაოების დასრულებიდან 1 (ერთი) კალენდარული წლის განმავლობაში. საგარანტიო ვადების განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებული იქნება შემსყიდველის ან/და სხვა უფლებამოსილი პირის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, აღმოფხვრას ყველა ის დაზიანება, რომელიც გამოვლინდება შესრულებულ სამუშაოებზე, გარდა ისეთი ხარვეზებისა, რომლებზეც მიმწოდებელი წარმოადგენს მოტივირებულ არგუმენტს, რომ ხარვეზი არ არის გამოწვეული შესრულებული სამუშაოების წუნით;
2.3.2 დადგენილ ვადებში ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

3. აუცილებელი მოთხოვნები პრეტენდენტთა მიმართ:
3.1 პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური შინაარსის სამუშაოები (შენობა-ნაგებობების რემონტი) ბოლო 2 (ორი) წლის განმავლობაში ღირებულებით არანაკლებ 20000 (ოცდათასი) ლარისა, რაც უნდა დაადასტუროს და ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთოს შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შენაკრები ფორმის სახით პრეტენდენტის მიერ უნდა შეავსოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართ N 3-ში ;

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

არ მოითხოვება.

5. ხელშეკრულების უზრუვნელყოფის საბანკო გარანტია:

არ მოითხოვება.

6. ანგარიშსწორების პირობები იხილეთ ხელშეკრულების პროექტში;
7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი იხილეთ ხელშეკრულების პროექტში;

8. სამუშაოები სავალდებულოა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, რომელი ვადის მიხედვითაც, პრეტენდეტი ხელშეკრულების გაფორმებამდე შემსყიდველს შესათანხმებლად წარუდგენს შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკს, რომელიც მხარეთა ხელმოწერის შემდეგ გახდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

9. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

7.1. რეკვიზიტები დანართი №1-ის შესაბამისად.

7.2. სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა დანართი №2 - ს შესაბამისად (იხ. ელექტრონულ სისტემაში მიმაგრებული ფაილი სახელწოდებით დანართი №2-ხარჯთაღრიცხვა)

7.3. სატენდერო დოკუმენტაციის მე-3 მუხლით განსაზღვრული ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

10. სხვა პირობები:

იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, „მიმწოდებელი“ ვალდებულია წარმოადგინოს მის მიერ ნაჩვენები საბოლოო ფასის ხარჯთაღრიცხვის საექსპერტო დასკვნა, იმის გათვალისწინებით, რომ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული თანხით ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება (საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში). ზემოხსენებული ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა გამოიწვევს შესაბამისი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას;

11. პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის იმ ნაწილში სადაც მოცემული იქნება შესასყიდი მასალებისა და მოწყობილობის სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

12. ხელშეკრულების პროექტი:

წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი შესაძლებელია შეიცვალოს და საბოლოო სახეს მიიღოს სატენდერო წინადადების შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის იქნება რეგისტრირებული თეთრ სიაში, ხელშეკრულებაში აისახება ყველა ის დებულება, რასაც ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა.

პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. ქუთაისი **2016 წ.**

ხელშეკრულების დადების საფუძველია ქალაქ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი №

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრი, შემდგომში „შემსყიდველი“, მისი დირექტორის თორნიკე მარჯანიშვილის სახით და

მეორეს მხრივ _____ , (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, (მისამართი: _____), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, **ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:**

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 შესყიდვის ობიექტია: ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის სველი წერტილების სარემონტო სამუშაოები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაციის დანართებში მოცემული, ხარჯთაღრიცხვების და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისი დანართების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2 კლასიფიკატორის კოდი: (CPV-45442180)

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და კომუნალურ გადასახადებს (მოხმარებული ელექტროენერგია, წყალი, გაზი).

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.4 დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მშენებლობის კალენდარული გეგმა–გრაფიკისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც შემსყიდველის მიერ გამოყოფილ იქნება პირთა ჯგუფი.

3.2. შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ან/და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით აცნობებს მიმწოდებელს ნაკლის ან დეფექტის მქონე სამუშაოების ან/და გამოყენებული მასალების შესაბამისი მიზეზების მითითებით.

3.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.6. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

მუხლი 4. სამუშაოების შესრულების ვადები

4.1. სამუშაოები სავალდებულოა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში .

4.2. შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზისათვის საჭირო ვადები არ განიხილება სამუშაოების შესრულების ვადებად.

მუხლი 5. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შუალედური/საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება სამუშაოების გარკვეული ეტაპის/საბოლოო დამთავრების შემდეგ მიმწოდებლის მიერ ტექნიკური პირობების, მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების (ფორმა N2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში)) წარმოდგენის შემდეგ, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ჩაატაროს ექსპერტიზა შესრულებული სამუშაობის ხარისხზე, მოცულობასა და ფასებზე - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს, რომლითაც დადგინდება შესრულებული სამუშაოების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან .

6.3. სამუშაოების მიღების ყოველი ეტაპის და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისად უფლებამოსილი პირები.

მუხლი 7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და ჩაბარებული სამუშაოების საგარანტიო ვადები შეადგენს სამუშაოების დასრულებიდან/საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან 1 (ერთი) კალენდარულ წელს.

7.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებლის მიმართ განხორციელდება ხელშეკრულებით ვალდებულებათა შესრულების ვადაგადაცილებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები. თუ მიმწოდებელი ჩათვლის რომ გამოვლენელი დაზიანებები გამოწვეული არ არის შესრულებული სამუშაოების წუნით, ამის შესახებ უნდა წარმოადგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი არგუმენტაცია.

მუხლი 8.ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე;
7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,
ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,
გ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტი,
დ) ექსპერტიზის დასკვნა - სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების დროს,
ე) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ–ს ანგარიშფაქტურა.
7.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).
7.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

მუხლი 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10.ხელშეკრულების შესრულების გარანტია

არ მოითხოვება

მუხლი 11. მხარეთა უფლება-მოვალეობები

11.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

11.2. შემსყიდველი ვალდებულია:

11.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

11.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

11.2.4. წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

11.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

11.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;

11.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, მოქმედი სტანდარტების, სატენდერო დოკუმენტაციისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით;

11.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;

11.3.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

11.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

11.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

11.4.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;

11.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით და/ან სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;

11.4.4. აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები, გააფორმოს საერთო და სპეციალური სამუშაოების წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;

11.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ან/და შეცვალოს გამოყენებული უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

11.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;

11.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;

11.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;

11.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით;

11.4.10. შეასრულოს სატენდერო დუკუმენტაციითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

12.2. თუ მიმწოდებელი გადააცილებს მშენებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დასრულების ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

12.2.1 მიმწოდებელს ზემოხსენებული ოდენობით დაერიცხება ასევე პირგასამტეხლო მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. ამ შემთხვევაში ვადის ათვლა დაიწყება შემსყიდველის მიერ წერილობითი მითითებით განსაზღვრული გონივრული ვადის გასვლის შემდეგ.

12.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 12.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 2 % - ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.4. ხელშეკრულების 12.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამცემ ბანკს და გამოითხოვოს გარანტიით გათვალისწინებული თანხა.

12.5. როგორც შემსყიდველისათვის, ისე მიმწოდებლისათვის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაში არ ჩაითვლება იმ დღეების რაოდენობა, რომელიც ექსპერტს დასჭირდება დასკვნის (ცნობის) გასაცემად.

მუხლი 13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

13. დანართი№1 რეკვიზიტები

დანართი №1

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

14. **დანართი№2 ხარჯთაღრიცხვა**

15. დანართი№3 გამოცდილება

				დანართი N 3			
N	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	ხელშეკრულების ნომერი	სამუშაოების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	შემსყიდველის საიდენტიფიკაციო ნომერი	ხელშეკრულების ღირებულება	ხელშეკრულების მიხედვით ჩაბარებული სამუშაოების (მიღება ჩაბარების აქტის) ღირებულება
1							
2							
3							
4							
5							
6							